# სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

## (არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

| | | | |
|---|---|---|---|
| მატჩი | ბათუმის „ბათუმი“ - ქუთაისის „არესი“ | | |
| გუნდი | ბათუმის „ბათუმი“ | შეჯიბრი | დიდი 10 |
| მატჩის თარიღი | 07/10/2023 | მატჩის ადგილი | ბათუმი |
| რეგულაცია | სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები. | | |

| დარღვევის აღწერა | | | |
|---|---|---|---|
| პიროვნება, სტატუსი | მწვრთნელი | დაბადების თარიღი | |
| სახელი, გვარი | ირაკლი ნინიძე | | |
| ☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება | პაპუნა ჭიქაბერიძე - მატჩის მსაჯი. | დარღვევა | ☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია |
| დარღვევა | სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 8.6 საჯაროდ არ გააკრიტიკოს / ხელი არ შეუწყოს მატჩის ოფიციალური პირების მიერ მატჩის დროს მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო კრიტიკას; | ☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა<br>თუ „სხვა“ აღწერეთ : | |

| განხილვის დეტალები | | | |
|---|---|---|---|
| განხილვის თარიღი | 11/10/2023 | განხილვის ადგილი | სრკ-ს ოფისი |
| თავმჯდომარე | მირიან თავზარაშვილი | | |
| სადისციპლინო კომისიის წევრები | ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, აკაკი კერესელიძე | | |
| დამრღვევის დასწრება | ☒ კი (დისტანციური) ☐ არა | სხვა დამსწრეები :<br>☐ კი ☐ არა | |
| დამრღვევის წარმომადგენელი | | აღნიშნეთ ვინ | |
| განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები | მატჩის მსაჯის, პაპუნა ჭიქაბერიძის საითინგი | | |

| დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა). |
|---|

1. მატჩის მსაჯის , პაპუნა ჭიქაბერიძის საითინგი

| დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება) |
|---|

არა

| დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება |
|---|

ბათუმის „ბათუმის"-ს მწვრთნელმა, ირაკლი ნინიძემ აღიარა მსაჯთან სათამაშო მომენტების გაპროტესტების ფაქტი. ირაკლი ნინიძის განცხადებით, ქუთაისის გუნდის თამაშზე ქუთაისელი მსაჯების დანიშვნა წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტს და ეს ფაქტი კატეგორიულად მიუღებელია მისთვის.

| ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა |
|---|

1. 07/10/2023 გაიმართა დიდი 10-ს IV ტურის მატჩი ბათუბის „ბათუმი"-სა და ქუთაისის „არესს" შორის;
2. მატჩის მსაჯის, პაპუნა ჭიქაბერიძის საითინგის მიხედვით (ციტირება) – *„თამაშის დასრულების შემდეგ როდესაც გასახდელში შევდიოდით ბათუმის მწვრთნელი ირაკლი ნინიძე კორიდორში, გასახდელის შესასვლელთან მოგვივარდა და ძალიან ხმამაღლა გვიყვიროდა(აღარასდროს ჩამოხვიდეთ ბათუმში, თქვენს გამო წავაგეთ თამაში) და აპროტესტებდა თამაშის რიგ ეპიზოდებს. მისი ქმედება არ შეესაბამება რაგბის არსსა და ღირებულებებს."*

| გადაწყვეტილება | | | |
|---|---|---|---|
| დარღვევის სტატუსი: | ☒ მიღებულია | ☐ უარყოფილია | ☐ სხვა (აღწერეთ) |

# სანქცია

| | | |
|---|---|---|
| დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი) | 3 (სამი) თამაში.<br>**1(ერთი)** თამაში **დაუყოვნებლივი** დისკვალიფიკაცია.<br>**2(ორი)** თამაში **პირობითი** დისკვალიფიკაცია 2023-2024 წლის სათამაშო სეზონის დასრულებამდე. | ☐<br>წითელი ბარათი საკმარისია |
| დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი | 12/10/2023 | |
| დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი. | დაუყოვნებელი დისკვალიფიკაციის (1 თამაში) დამთავრების თარიღი 16/10/2023<br>პირობითი დისკვალიფიკაციის (2 თამაში) ვადა 2023-2024 სათამაშო სეზონის დასრულებამდე. | |
| ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა.<br>**სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 9.4 ბ) პუნქტი** | არა | |
| სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება | დისკვალიფიკაციის პერიოდში, დისკვალიფიცირებულ პიროვნებას ეკრძალება ნებისმიერი დონის რაგბის თამაშის დროს, ყოველგვარი აქტივობა სათამაშო პერიმეტრში.<br>**პირობითი დისკვალიფიკაციის პერიოდში მოთამაშის მხრიდან ანალოგიური დარღვევის შემთხვევაში, განმეორებითი დარღვევისთვის დაკისრებულ სანქციას ავტომატურად დაემატება პირობითი დისკვალიფიკაციით გათვალისწინებული თამაშები.** | |

| | | | |
|---|---|---|---|
| თავმჯდომარე ხელმოწერა | მირიან თავზარაშვილი | თარიღი | 12/10/2023 |

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.**